



მამაობრავებელი არ იყო მხოლოდ დიდი გასამჯელო ან მისი დიდი პატივი და ღირსება სხვა ერებში მიღწეული მიზნისთვის, რომელიც იმ დროისთვის შეუსრულებელ მისიად ითვლებოდა, არამედ მას უდიდესი სურვილი გააჩნდა გაენადგურებინა და წაეშალა მიწის პირიდან ისრაელის ერი. მაგრამ წყევლის გამოთქმაც კი ვერ შესძლო მან, არამედ წყევლის მაგივრად მან ლოცვა გამოთქვა ჩადებული გამჩენის მიერ მის პირში. *[ვხედავთ თუ როგორ ვუყვარვართ გამჩენს და როგორ გვიფრთხილდება ჩვენ, საინტერესოა გვიყვარს ჩვენ გამჩენი ასე ან ვუფრთხილდებით მას ასე ან ჩვენ თავს მაინც ვუფრთხილდებით ასე?]*



## კეთილ განწყობა ადგილსაცხოვრებლის მიმართ - წარმოადგენს საფრთხეს

რაბი შიმშონ დავიდ პინკუსი

არის პრობლემა რომელზეც ღირს ვისაუბროთ, რადგან ეს ძალზედ მნიშვნელოვანი თემაა.

ერთი ახალგაზრდა ისრაელიდან ამერიკაში იემივამი სასწავლებლად ჩავიდა, ღმ-რთის წყალობით იჯდა და სწავლობდა გულმოდგინედ, დროს ჰაერზე არ ფანტავდა, მაგრამ, როდესაც მოვიდა არდადაგების დრო მან გადაწყვიტა ცოტაოდენ დაეთვალიერებინა ქვეყანა, რა თქმა უნდა საუბარი არ მიდიოდა ადგილებზე, რომლებიც ებრაელისთვის საფრთხეს წარმოადგენენ, არამედ ნიაგარის ჩანჩქერზე, ვამინგტონზე და ა.შ.

მივწერე მას წერილი, სადაც მას ჩემი აზრი გავუზიარე, რომელიც ჩემი შეხედულებით ბრწყინვალე იყო, ეს იყო ჩემი ოცნება - რომელიც მიეკუთვნება ოცნებათა ჯგუფს - "ნეტავი, მომისმენდეს ვინმე!". კარგი იქნებოდა მქონდეს საშუალება ამერიკის ქალაქებში გამოვაცხადო ეს აზრი. აი ვხუჭავ თვალებს და წარმოვიდგენ რომ მისმენს მილიონი ადამიანი. მას კი შემდეგი მივწერე: თუ დავუკვირდებით წმინდა ენას, აღმოვაჩენთ საინტერესო რამეს, არის სიტყვები, რომლებიც მიეკუთვნებიან მამრობით ფორმას, არის სიტყვები, რომლებიც მიეკუთვნებიან მდედრობით ფორმას, მაგრამ ყოველთვის არ არის ჩვენთვის გასაგები თუ რატომ მიეკუთვნება ესა თუ ის სიტყვა მამრობით ან მდედრობით ფორმას.

მაგალითად: შაბათი, ძირითადად ის გამოიყენება მდედრობით ფორმაში, შაბათს ჩვენ ხომ დედოფალს - ქალას ვუწოდებთ, მაგრამ ასევე არის ადგილები სადაც მამრობით ფორმაში მოვიხსენიებთ, მაგალითად შაბათის დილის ლოცვაში, მაგრამ ისევ და ისევ შაბათი ძირითადად მდედრობითი ფორმისაა. რატომ? პასუხი მარტივია, სულიც მდედრობითი სქესისაა. მამაკაცი - გამცემი, ქალი - მიმღები. ერთი შეხედვით, სული

მამრობითი სქესის უნდა იყოს, ის ხომ ჩვენ სიცოცხლეს გვაძლევს. სინამდვილეში, სული არაფერს გვაძლევს, ის უბრალოდ ირეკლავს იმას რასაც გვაძლევს გამჩენი. ის იძენს სიცოცხლის უნარს გამჩენისგან რათა გადმოგვცეს ჩვენ, ასევე შაბათიც. კაი დღეები - დღსასწაულები შეიძლება არიან მომცემნი, მაგრამ შაბათის სიწმინდე გაცილებით დიდია, ამ სიწმინდეს შაბათი იძენს რათა გადმოქცევს ჩვენ.

ახლა კი მოდით დავუკვირდეთ სიტყვა მიწას - ადამა, ის ყოველთვის მდედრობით ფორმაში გამოიყენება, მაგალითად: თორაში, წმინდა ენაში, ყველგან სადაც კი მოიხსენიება სიტყვა მიწა, არის მდედრობით ფორმაში - წმინდა მიწა, ციონი, იერუშალაიმი ..., ასევე სხვა ერებშიც მიღებულია რომ საკუთარ ქვეყანას მდედრობით ფორმაში მოიხსენიებენ - დედა სამშობლო. მნიშვნელობა ამისა ძალზედ მარტივი და გასაგებია, ყველაფერი რაც კი მიწას სჭირდება რათა გამოიღოს მოსავალი, მას ციდან ჩამოსდის, შესაბამისად ზეცა არის მამრობითი - გამცემი, მიწა კი მდედრობითი - მიმღები, იგი იღებს მისთვის დაშვებულს და გვაძლევს ჩვენ, მოსავლის სახით, თითქოს ვიყოთ შვილები მისი, როგორც დედა აძლევს შვილებს, ასევე ისიც გვაძლევს ჩვენ. ამიტომაც როგორც წმინდა ასევე სხვა ენებზეც მიწა არის მდედრობით ფორმაში.

ჩვენი ბრძენები გვასწავლიან რომ: "არის სამი სახის კეთილგანწყობა: ა) მაცხოვრებლების კეთილგანწყობა ადგილსაცხოვრებლის მიმართ; ბ) კეთილგანწყობა - სიმპატია ქმრისა ცოლის მიმართ; გ) კეთილგანწყობა მყიდველისა შეძენილი ნივთის მიმართ." (ბ.თ. სოტა 47.)

"მაცხოვრებლების კეთილგანწყობა ადგილსაცხოვრებლის მიმართ". ბრძენები გვასწავლიან რომ ქვეყანა სადაც ადამიანი ცხოვრობს განსაკუთრებით გამორჩეულია და იმსახურებს სიმპატიას. ამის გამომჟღავნებას სხვა მიმართულებითაც ვხედავთ - ადამიანისთვის ყველაზე საყვარელი მისი ოჯახია, მისი სამუშაოც მეტად მნიშვნელოვანი შედარებით სხვა საქმიანობისა, რადგან ეს არის ადამიანის ბუნება მინიჭებული მისთვის ციდან. მაგრამ არ არის ვარდი ეკლების გარეშე, ეს სიმპატია ერთ ერთ საფრთხეს წარმოადგენს, რომელიც დანერგილია ქმნილებაში. წერია ბაბილონის თალმუდში (ერუვინი 19.): "ბრძანა რაბი იეოშუა ბენ ლევიმ: *შვიდი სახელი აქვს ჯოჯოხეთს: უფსკრული; სიკვდილი; სამარე; ჭაობი; ნაპრალი; უკუნითი სიბნელე; მიწისქვეშეთი.* ამაზე კითხულობს გემარა: *განა არ არის სხვა სახელები? ხო არის კიდევ ერთი სახელი - ჯოჯოხეთი?* პასუხი შემდეგია: *ჯოჯოხეთი არის ღრმა უფსკრული, ვინც კი იქ ეშვება, არანაირი სარგებელი არ აქვს მას. (აქ თორის დიდი კომენტატორი 'რაში' გვისხსნის რომ საუბარია - მრუშობაზე).*

უდიდესი ნაწილი ხალხისა ხვდება ჯოჯოხეთში მრუშობის გამო, ამ ვნებებისგან კი არანაირი სარგებელი არ არის, ყველაფერი კი იწყება სიმპატიით. ქალი შეიძლება იყოს სუსტინებისყოფის არაებრაელი, მაგრამ კაცს გააჩნდეს მის

მიმართ სიმპატია - ამის მამომრავლებელი კი ლტოლვაა ცოდვისკენ. მას შეიძლება მთელი მისი გარემოცვა ეუბნებოდეს: *იმახინჯებ და ინგრევ მთელ ცხოვრებას!* მაგრამ მისი პასუხი შეიძლება იყოს: *მე ის მომწონს!* რატომ ხდება ეს? უმიზეზოდ, მას ხომ არანაირი სარგებელი არ აქვს ამისგან. გამჩენმა მოაწყო ასე.

პრობლემა სიმპატიისა ასევე ეხება მიწასაც - მაცხოვრებლების კეთილგანწყობა ადგილსაცხოვრებლის მიმართ. იქვე თალმუდში მოყვანილია: და უთხრეს მცხოვრებმა ქალაქისა ელიშას: *"ადგილმდებარეობა ქალაქისა კარგია, როგორც ხედავს ბატონი, მაგრამ წყალია უფარვისი, და მიწა ანადგურებს მცხოვრებთ."* (მელახი 2 - 2:19). ამაზე ჰკითხულობს გემარა: *რა არის კარგი ამ ქალაქის ადგილმდებარეობაში?* პასუხობს რაბი ხანინი: *მაცხოვრებლების კეთილგანწყობა ადგილსაცხოვრებლის მიმართ!* მათ უყვარდათ თავიანთი ქალაქი, მხოლოდ იმიტომ რომ იქ ცხოვრობდნენ, შესაბამისად ხალხს უყვართ ქვეყანა სადაც ცხოვრობენ. მაგრამ ბატონებო ჩვენი პრობლემა ისაა რომ ჩვენი არაუბრაელი ცოლი არის ის ქვეყანა სადაც ჩვენ ვცხოვრობთ (რა თქმა უნდა ერეც ისრაელის გარდა).

"ნეტავი მომისმენდეს ვინმე!" - მე განვაცხადებ მკაცრად, მაგრამ მაქვს ამის უფლება, მე თვით დავიბადე ამერიკაში და კარგად ვიცი ეს გრძნობა. ჩვენ გვიყვარს ეს ქვეყანა, მივეკარით მას, რასაც კი ვხედავთ მასში ყველაფერი ბრწყინვალე გვგონია - მაგრამ ეს არ არის ებრაელის საცხოვრებელი ადგილი! (შესაბამისად არც ერთი ქვეყანა გარდა წმინდა მიწისა). ხალხი მცხოვრები ერეც ისრაელს გარეთ იმახიან რომ ბრწყინვალეა მათი ქვეყანა, მაგრამ სათანადოდ არც კი შეუძლიათ ახსნან ეს სიტყვები, რადგან არ იციან მიზეზი ამისა, ზუსტად ეს არის პრობლემა, რომელზეც მინდა თქვენი ყურადღების მიპყრობა!



## ტკივილი - გამომჟღავნება შექმნილი სიბოროტის - მართალია?

რაბი შიმშონ დავიდ პინკუსი

ნაწილი # 2

თავდაპირველად სამყაროში არ იყო ავადმყოფობა, პირველი კაცობრიობის ისტორიაში ავად - ჩვენი მამა იაკობი გახდა, რომელმაც შესთხოვა გამჩენს, რომ სიკვდილის წინ ადამიანი გამხდარიყო ავად, რათა მოასწროს ადამიანმა ოჯახის წევრებისთვის დარიგებების დატოვება. ბაბილონის თალმუდი გვიყვება, თუ როგორ იღებდნენ ავადმყოფობას ჩვენი ბრძენები - მიშნის შემქმნელები (თანაიმები). რაბი ელიეზერი, შვილი რაბი შიმონ ბარ იოხაის, ყოველ სადამოს უხმობდა თავისთან ავადმყოფობას და ტანჯვას სიტყვებით : *" მოდით ჩემთან ძმებო და დებო "*, ხოლო რებიზე - რაბი იჰუდა ჰანასი ისეთ

ტკივილებს განიცდიდა, რომ მის გმინვასა და შემახილებს ტანჯვისგან, გემზეც კი ისმენდნენ, რომელიც ცურვაში იყო გასული. მაგრამ მიუხედავად ამისა, ემახდნენ ამ ტანჯვასა და ტკივილს : *"საყვარელ ტანჯვა"-ს (იგულისხმება, რომ გამჩენი მხოლოდ მისთვის საყვარელ ხალხს ტანჯავს) .(ბაბა მეცია 84:-85.)*. უდაოა რომ, ჩვენ მათი სულიერი საფეხურიდან ძალიან შორს ვართ, მაგრამ საჭიროა ვიცოდეთ, თუ რომ დიდი ხალხი ითხოვდნენ ტანჯვასა და ტკივილს თავის თავზე, ემახდნენ მათ "საყვარელს" და ასევე "ძმებსა და დებს", ეს მიგვითითებს იმაზე რომ, ტანჯვა და ტკივილი არ მოდის ქვეყანაზე მხოლოდ ჩვენთვის ცხოვრების გასამწარებლად ან უბრალოდ ჩვენ სატანჯად, არამედ ტკივილსა და ტანჯვებში გამჩენის მიერ არის ჩადებული ღრმა აზრი, რომელსაც აქვს ადგილი ქვეყანაზე.

რათა გავიგოთ და ჩავწვდეთ ზემოთქმულის ქეშმარიტ აზრს, თავდაპირველად საჭიროა გავიგოთ განსაზღვრება ტკივილისა, თუ რას წარმოადგენს ის და როგორია ადამიანის რეაქცია მასზე.

ფიზიკური კუთხით ტკივილი, თავის მხრივ წარმოადგენს - ანტი სიცოცხლეს, რადგან რაც ახლო არის სიკვდილთან. სიცოცხლე არის - განვითარება, წინსვლა, გაღვივება. ტკივილი კი - შეფერხება. როდესაც ადამიანი განიცდის ტკივილს, თითქოს და ის პარალიზებულია, ადევნებს სამყაროს თვალს გვერდიდან და არ არის ამ ქვეყნიერების სრულფასოვანი წევრი. მას არ შეუძლია ტკივილის გამო გააკეთოს რამე, გამოიყენოს თავის რეალური შესაძლებლობები, ერთი სიტყვით მისი ცხოვრება " გაჩერდა". გარკვეულ წილად ეს არის - სიკვდილი.

ადამიანში ჩადებულია არაჩვეულებრივი გრძნობა სიცოცხლის სურვილისა. ეს სურვილი განსაკუთრებით მწვავეა, როდესაც ადამიანის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, როდესაც ის მთელი ძალით ცდილობს თავის გადარჩენას, რათა დაბრუნდეს ჩვეულ რითმში და გააგრძელოს, მისთვის ნაჩუქარი პოტენციალის გამოყენება, განვითარება და უბრალოდ სიცოცხლე. ეს არის ბუნებრივი რეაქცია ნებისმიერი ჯანმრთელი და საღად მოაზროვნე ადამიანისა.

მაგრამ აქ ჩნდება კითხვა : როგორი ცხოვრებისკენ უნდა მივისწრაფოდეთ? რა მიმართულებით უნდა ვანვითარებდეთ ჩვენ სურვილს სიცოცხლისა და გაბრწყინების?



## მშობელი, რომელიც არ იცავს თორას

მიუხედავად იმისა რომ, მშობელი არის თორის სასტიკი წინააღმდეგი და უფრო მეტიც მის მიზან მიმართული დამრღვეველი, შვილს არ აქვს უფლება არ სცეს პატივი მას, მითუმეტეს სცემოს ან დაწყევლოს. ტამრის არსებობის პერიოდში, როდესაც თორის დამრღვევს სჯიდა ებრაელური სასამართლო - სანჰედრინი, შვილს არ ჰქონდა უფლება მშობლის დასჯაში მიეღო მონაწილეობა - ყოფილიყო აღმასრულებელი (*მიუხედავად იმისა რომ ეს არის მიცვა*). მაგრამ არავითარ შემხვევაში არ შეიძლება მშობელს გაეწიოს დახმარება, მხარდაჭერა ან მიეცეს გამართლება მის საქციელს, როდესაც იგი ჩადის რაიმეს აკრძალულს თორიდან, მაგ : არღვევს შაბათს და ა.შ

ხშირად გარკვეული გარემოებების გამო, სიტუაციის გამოსწორება შვილსა და მშობელს შორის შეუძლებელია დიალოგისა ან სხვა გზით, ასეთ შემთხვევაში რათა კონფლიქტი შვილსა და მშობელს შორის ხდება გარდაუვალი, ამიტომ სჯობს მათი შეხვედრათა რიცხვი იქნეს დაყვანილი მინიმუმამდე, რადგან უმეტეს შემთხვევაში ასეთი კომფლიქტების ბოლო ხდება მტკივნეული ორივე მხარისთვის, საბოლოოდ კი იწვევს ურთიერთობისა და კავშირ გაწყვეტას, ასეთ შემთხვევაშიც უმჯობესია გამოცდილ რაბისთან კონსულტაცია. თუ როგორ გვკარნახობს კანონი, იმ შემთხვევაში როდესაც მშობლები არღვევენ თორის წესებს, მათგან დამოუკიდებელი გარემოების გამო, მაგალითად თაობები, რომლებიც გაიზარდნენ კომუნისში, უღმ-რთობისა და ანტირელიგიურობით სავსე გარემოებაში, მათგან დამოუკიდებლად მათი დამოკიდებულება გულგრილი და ცივია თორისა და გამჩენის მიმართ, ასეთ შემთხვევაში, თორის

კომენტატორები ერთსულოვნად თანახმა არიან, რომ არ შეიძლება მათი უპატივისცემლობა, ასეთ მშობელს უბრალოდ არ ჰქონდა გაგება რელიგიურობისა და რწმენისა, რადგან ისინი იყვნენ მოწყვეტილი ებრაელურ საფუძვლებს დაშინებითა და სხვა და სხვა გზებით. ასეთ შემთხვევაში საჭიროა მივმართოთ კვალიფიციურ რაბის რათა მივიღოთ სათანადო დარიგება.

## თუ მშობელი მტყუნია ან შეცდა

თუ შვილი თვლის რომ, მშობელი ცდება ან იქცევა არასწორად, არ აქვს მას უფლება პირდაპირ მიახლოს მას ამის შესახებ, არამედ, ვალდებულია წყნარ, მშვიდ და ლამაზ ფორმაში მიანიშნოს კითხვით : თუ გახსოვს ასე წერია წიგნში? ასე მასწავლიდი შენ? და ა.შ რიტყვით მშობელი მიხვდება თავის შეცდომას და არ იქნება გაწბილებული, შერცხვენილი ან დამცირებული შვილის მიერ.



*შემოგვიერთდით ამ უდიდეს და წმინდა საქმეში - „თორის გავრცელება“ ქართულ დიასპორაში. სურვილის მფლობელს დაბეჭდოს "ბეერთ იცხაკი" თავის სალოცავისთვის ან ნებისმერი ადგილისთვის სადაც თავს იყრის ქართველი ებრაელობა. მოგვწერეთ თქვენი იმეილი და გამოგიგზავნით ჟურნალის ელექტრონულ ვერსიას. მივაწვდინოთ თორის სიტყვები ყველა ებრაელს, გავანათოთ გამჩენის სახელი და მივიღოთ უდიდესი ჯილდო თორის გავრცელებისა. ერთად ვაშენოთ და ვიზრუნოთ ჩვენი თემის მომავლისათვის... შაბათ შალომ!*

შაბათის დრო:	გ ა კ ვ ე თ ი ლ ე ბ ი		ლეილუი ნიშნათ:
16 თამუზი (3 ივლისი)	ორშაბათი:	20:30 რ. ხაიმ ქოენი ( <i>მამაკაცებისთვის</i> )	ოსეფ ბენ ცევი ხაიმ
	შემობრძანება	სამშაბათი: 20:30 რ. ხაიმ ქოენი ( <i>ქალბატონებისთვის</i> )	ავრაჰამ ბენ შალომ
	გაბრძანება	ხუთშაბათი: 21:00 რ. დავიდ ელიშაკოვი ( <i>მამაკაცებისთვის</i> )	სიმანტოვ ბენ იაკობ
იერუშალაიმი	7:13	8:31	ბენიამინ ბენ შაბთაი
ისრაელი	7:29	8:34	თამარ ბათ შამილ
თბილისი	8:20	9:31	ლალი სარა ბათ ბენიამინ
მოსკოვი	8:57	10:53	ხავა ბათ აბრაჰამ
		მისამართი: ქ. ბათ-იამი, ბორუხოვის 10 „ქართველების სალოცავი“	ივხაკ ბენ სიმა
		სამშაბათი: 20:30 რ. შლომო შაპირო ბ. ქნესეთი "ხაფეც ხაიმი".	დალი ხაია ბათ მირიამ
		19:30 რაბანითი ხანა ( <i>ქალბატონებისთვის</i> )	მოშე ხაიმ ბენ ხავა
		მისამართი: ქ. იერუშალაიმი „ნევე იაკოვი“ 27, ბინა 22	
		ტელ: 054-56-13-909	